




ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 23

2011 წლის 25 თებერვალი
ქალაქი ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ალის ტერიტორიული ორგანოს მიმართვის განხილვა სოფელ ალში მცხოვრები მოქალაქე ვერა გოგალაძის სახელზე გაცემული გარდაცვალების ოქმის გაუქმების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" 43-ე მუხლის, მე-3 პუნქტის, „ბ“ ქვეპუნქტის, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლის შესაბამისად და ალის ტერიტორიული ორგანოს 2011 წლის 20 თებერვლის № 08 მიმართვის საფუძველზე, სადაც აღნიშნულია რომ 2010 წლის 17 ნოემბერს მოქალაქე ვერა გოგალაძის სახელზე შეცდომით იქნა გაცემული გარდაცვალების ოქმი. „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 88-ე მუხლის „ზ“ პუნქტის თანახმად მოქალაქის გარდაცვალების განცხადების ვალდებულება ეკისრება გამგეობის რწმუნებულს, ალის ტერიტორიული ორგანოს სპეციალისტის მიერ ზემოთ აღნიშნული აქტის შევსების დროს დაშვებული შეცდომის შედეგად გარდაცვალების ფაქტის აღიარება მოხდა ცოცხალ ადამიანზე. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული წარმოება და დადგინდა რომ მოქალაქე ვერა გოგალაძე არის ცოცხალი, შესაბამისად უნდა გაუქმდეს მის სახელზე გაცემული გარდაცვალების აქტი.

1. გაუქმებულ იქნას ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ალის ტერიტორიული ორგანოს მიერ 2010 წლის 17 ნოემბერს შეცდომით გაცემული გარდაცვალების აქტი მოქალაქე ვერა გოგალაძის (მცხ. ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბრილი, დაბადების თარიღი 12 ოქტომბერი, 1939 წ. პირადი № 57001033881) სახელზე.
2. განკარგულება გაეზღვანოს ალის ტერიტორიულ ორგანოს შესაბამისი რეაგირებისათვის.
3. განკარგულება ძალაში შედის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ერთი თვის განმავლობაში ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (მის. ხაშური, ტაბიძის ქ. №2, მეორე სართული) ან/და ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის. ხაშური, კოსტავას ქ. №13)

საკრებულოს თავმჯდომარე



დავით ლომიძე